



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 49
10/03/2023

49-2-4-202303101626



„კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების
დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის
2.03.2022 წლის #32 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების
დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის
2.03.2022 წლის #32 ბრძანებით დამტკიცებულ „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების
დაფინანსების წესსა და პირობებში“ შევიდეს ცვლილებები და დამატებები:

ა) შეიცვალოს, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. განაცხადი პროექტის დაფინანსების თაობაზე შესაძლებელია შემოტანილ იქნას ეროვნულ
კინოცენტრში წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, პროექტის დაწყებამდე სულ მცირე 30
(ოცდაათი) დღით ადრე.“

ბ) მე-2 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2¹ პუნქტი:

„2¹. პროექტები, რომელიც გულისხმობს კინოფესტივალების ჩატარებას, სასურველია
წარმოდგენილი იყოს ეროვნულ კინოცენტრში, განაცხადების მიღების თაობაზე ინფორმაციის
გამოქვეყნების შემდეგ. ინფორმაცია განაცხადების მიღების ვადებისა და პრიორიტეტების შესახებ
ქვეყნდება ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ვებ - გვერდზე.“

გ) მე-2 მუხლს მე-2¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2²) პუნქტი „2². თუ
კინოფესტივალების დაფინანსების მიზნით განაცხადების შემოტანა არ განხორციელდა მე-2
მუხლის მე-2¹ პუნქტით დადგენილი წესით, მისი შემოტანა შესაძლებელია მე-2 მუხლის მე-2
პუნქტის შესაბამისად.“

დ) შეიცვალოს, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „3. განაცხადი
პროექტის დაფინანსების თაობაზე პროექტის ავტორმა უნდა წარადგინოს ეროვნული კინოცენტრის
მიერ შემუშავებული ფორმით (დანართი 1). სხვა ფორმით წარმოდგენილი განაცხადი არ
განიხილება კომისიის მიერ.“

ე) მე-3 მუხლს მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹) პუნქტი:

„8¹. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ა) პროექტის შესაბამისობა პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალთან და კინოცენტრის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან;
- ბ) პროექტის განხორციელების ფორმატი, პროექტის ინოვაციურობა; პროექტის მოსალოდნელი შედეგის გაზომვადობა (მდგრადობა);
- გ) ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში;
- დ) შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება;

ვ) შეიცვალოს, მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი და ჩამოყალბდეს შემდეგი სახით:

„12. განაცხადის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას კომისია ასრულებს განაცხადის დარეგისტრირებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. იმ განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გულისხმობს ყოველწლიური კინოფესტივალების ჩატარებას უნდა განხორციელდეს მე-2 მუხლის 2¹ პუნქტით განსაზღვრული განაცხადების მიღებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.“

ზ) შეიცვალოს, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და ჩამოყალბდეს შემდეგი სახით: „6. ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან რეზოლუციით ადასტურებს ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მენეჯერი ან ფინანსების სპეციალისტი.“

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ - გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი

